

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 20 სახელმწიფო გრანტების ბუღალტრული აღრიცხვა და სახელმწიფო დახმარების განმარტებითი შენიშვნები¹

მოქმედების სფერო

1. წინამდებარე სტანდარტი გამოიყენება სახელმწიფო გრანტების ბუღალტრული აღრიცხვისა და განმარტებითი შენიშვნებისათვის, აგრეთვე სხვა სახის სახელმწიფო დახმარებების განმარტებითი შენიშვნებისათვის.
2. სტანდარტი არ ეხება:
 - ა) სახელმწიფო გრანტების ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვის სპეციფიკურ პრობლემებს, რომლებიც გულისხმობს ფასების ცვლილების შედეგებს ან სხვა ანალოგიური ხასიათის დამატებით ინფორმაციას;
 - ბ) სახელმწიფო დახმარებას, რომელიც საწარმოს ეძლევა სხვადასხვა პრივილეგიის სახით და გამოიყენება დასაბეგრი მოგების ან ზარალის განსაზღვრისას, ან გულისხმობს საწარმოს განთავისუფლებას მოგებიდან გადასახადით დაბეგვისაგან ან გარკვეული შეღავათების მიცემას შესაბამის საგადასახადო ვალდებულებებში (ასე, მაგალითად, მოგებიდან გადასახადისაგან დროებითი განთავისუფლება, შეღავათები ინვესტიციებზე გადასახადისათვის, შეღავათები დაჩქარებული ამორტიზაციის ნორმებზე და მოგებიდან გადასახადის შემცირებული განაკვეთები);
 - გ) სახელმწიფოს მონაწილეობას საწარმოს კაპიტალში;
 - დ) სახელმწიფო გრანტებს, რომლებზეც ვრცელდება ბასს 41 - „სოფლის მეურნეობა“.

განმარტებები

3. სტანდარტში გამოყენებული ცნებები
სახელმწიფო გულისხმობს მთავრობას, სახელმწიფო უწყებებს და ანალოგიურ ადგილობრივ, ეროვნულ ან საერთაშორისო ორგანიზაციებს.
სახელმწიფო დახმარება არის სახელმწიფოს ქმედება, რომელიც გულისხმობს რომელიმე კონკრეტული საწარმოს ან საწარმოთა ჯგუფისათვის ეკონომიკური დახმარების გაწევას, სათანადო კრიტერიუმების გათვალისწინებით. სახელმწიფო დახმარება მოცემული სტანდარტის მიხედვით არ მოიცავს საწარმოთათვის სახელმწიფოს მხრიდან სხვადასხვა ფორმით გაწეულ არაპირდაპირ დახმარებას ტარიფებისა და კვოტების შემცირების, განვითარებად რეგიონებში ინფრასტრუქტურის შექმნისა და კონკურენტების სხვადასხვა შემზღვევადი ღონისძიებების სახით.
სახელმწიფო გრანტები არის სახელმწიფოს მიერ გაწეული დახმარება საწარმოსათვის რესურსების გადაცემის სახით, საწარმოს სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული წარსულში შესრულებული ან მომავალში შესასრულებელი გარკვეული პირობების სანაცვლოდ. აქ არ იგულისხმება ისეთი ტიპის სახელმწიფო დახმარებები, რომელთა ღირებულების დასაბუთებული განსაზღვრა შეუძლებელია, აგრეთვე სახელმწიფოსთან დადებული ისეთი გარიგებები, რომლებიც არ განსხვავდება საწარმოს ჩვეულებრივი კომერციული გარიგებებისაგან.²
აქტივებთან დაკავშირებული გრანტები საწარმოს, უპირველეს ყოვლისა, იმისათვის ეძლევა, რომ შეიძინოს, შექმნას, ააშენოს ან რაიმე სხვა გზით მოიზიდოს გრძელვადიანი აქტივები. გრანტი შე-

1. 2008 წლის მაისში გამოცემული დოკუმენტის - *ფასს სტანდარტების გაუმჯობესება* - ფარგლებში საბჭომ, სხვა ფასს-თან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, შეცვალა მოცემულ სტანდარტში გამოყენებული ტერმინოლოგია, შემდეგნაირად: (ა) „დასაბეგრი შემოსავალი“ შეიცვალა „დასაბეგრი მოგება ან ზარალი“; (ბ) „აღიარებული როგორც შემოსავალი/ხარჯი“ შეიცვალა „აღიარებული მოგებაში ან ზარალში“; (გ) „დაკრედიტებული პირდაპირ აქციონერთა საკუთარ კაპიტალში“ შეიცვალა „აღიარებული მოგების ან ზარალის გარეთ“ და (დ) „სააღრიცხვო შეფასების გადახედვა“ შეიცვალა „სააღრიცხვო შეფასების ცვლილება“.

2. იხ. აგრეთვე იმპ -10 - „სახელმწიფო დახმარება – საოპერაციო საქმიანობასთან უშუალო კავშირის არქონა“.

საძლოა ითვალისწინებდეს დამატებით პირობებსაც, რომლებიც განსაზღვრავს აქტივის სახეობას, განლაგებას, მათი შექმნის ან ფლობის პერიოდს.

შემოსავლებთან დაკავშირებული გრანტი აღნიშნავს გრანტს, რომელიც არ არის აქტივებთან დაკავშირებული გრანტი.

ნაპატიები სესხები ისეთი სესხებია, რომელთა უკან დაბრუნების მოთხოვნის უფლებაზე სესხის გამცემი ნებაყოფლობით აშზობს უარს, გარკვეული, ადრე შეთანხმებული პირობების თანახმად.

რეალური ღირებულება არის ფასი, რომელიც მიღებული ან გადახდილი იქნებოდა აქტივის გაყიდვიდან ან ვალდებულების გადაცემისას, ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღისთვის ნებაყოფლობით განხორციელებული გარიგების დროს (იხ. ფასს 13 – „*რეალური ღირებულების შეფასება*“).

4. სახელმწიფო დახმარება ხორციელდება მრავალი ფორმით, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდება ხასიათითა და პირობებით. დახმარება შეიძლება მიზნად ისახავდეს ისეთი საქმიანობის წახალისებას, რომლის ნორმალურად წარმართვას საწარმო ვერ შეძლებდა დახმარების გარეშე.
5. სახელმწიფო დახმარების მიღებას შეიძლება დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს საწარმოსათვის ფინანსური ანგარიშგების მომზადების საქმეში, ორი მიზეზის გამო. პირველი, თუ საწარმოს გადაეცემა რესურსები, მან უნდა შეარჩიოს შესაბამისი სააღრიცხვო მეთოდი. მეორე, სასურველია, რომ საწარმომ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახოს ამ დახმარების შედეგად მიღებული სარგებელი მოცემულ საანგარიშო პერიოდში. ამით უზრუნველყოფილი იქნება საწარმოს ფინანსური ანგარიშგების შესადაარსობა წინა პერიოდების ან სხვა საწარმოების ანგარიშგებებთან.
6. ზოგჯერ სახელმწიფო გრანტებს სხვა სახელსაც უწოდებენ, მაგალითად, სუბსიდია, დოტაცია ან სახელმწიფო პრემია.

სახელმწიფო გრანტები

7. სახელმწიფო გრანტები, მათ შორის არაფულადი გრანტები, რეალური ღირებულებით არ უნდა აღიარდეს მანამ, სანამ არ იარსებებს დამაჯერებელი რწმენა, რომ:
 - ა) საწარმო შეასრულებს მასთან დაკავშირებულ პირობებს; და
 - ბ) გრანტი იქნება მიღებული.
8. სახელმწიფო გრანტის აღიარება არ ხდება მანამ, სანამ საწარმოს არ ექნება იმის დამაჯერებელი რწმენა, რომ დააკმაყოფილებს გრანტის პირობებს და გრანტს აუცილებლად მიიღებს. გრანტის მიღება თავისთავად არ ნიშნავს იმას, რომ საწარმო აკმაყოფილებს ან მომავალში დააკმაყოფილებს გრანტის პირობებს.
9. გრანტის მიღების ფორმა გავლენას არ ახდენს იმ სააღრიცხვო მეთოდის შერჩევაზე, რომელიც საწარმომ უნდა გამოიყენოს მისი აღრიცხვისათვის. გრანტის აღრიცხვა ერთნაირად ხდება ფულადი გრანტის მიღების დროსაც და მაშინაც, როდესაც გულისხმობს სახელმწიფო ვალდებულებების შემცირებას.
10. სახელმწიფოს მიერ გაცემული ნაპატიები სესხი იგივე სახელმწიფო გრანტია, როდესაც არსებობს იმის დასაბუთებული გარანტია, რომ საწარმო შეასრულებს სესხის პატიების პირობებს.
- 10ა. სახელმწიფო სესხის სარგებელი, რომლის საპროცენტო განაკვეთი საბაზრო განაკვეთზე დაბალია, აისახება როგორც სახელმწიფო გრანტი. სესხი აღიარდება და შეფასდება ფასს 9-ის – „*ფინანსური ინსტრუმენტები*“ - შესაბამისად. საბაზრო განაკვეთზე დაბალი საპროცენტო განაკვეთის სარგებელი უნდა შეფასდეს, როგორც სხვაობა ფასს 9-ის შესაბამისად განსაზღვრულ სესხის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და მიღებულ შემოსავალს შორის. სარგებელი აისახება წინამდებარე სტანდარტის შესაბამისად. საწარმომ უნდა განიხილოს ის პირობები და ვალდებულებები, რომლებიც დაკმაყოფილებულია ან უნდა დაკმაყოფილდეს იმ დანახარჯების განსაზღვრისას, რომლის კომპენსაციისთვისაც გამიზნულია სესხის სარგებელი.
11. მას შემდეგ, რაც აღიარდება სახელმწიფო გრანტი, მასთან დაკავშირებული ყველა პირობითი ვალდებულება ან პირობითი აქტივი აღრიცხება ბასს 37-ის – „*ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები*“ - მოთხოვნების შესაბამისად.

12. სახელმწიფო გრანტი უნდა აღიარდეს მოგებაში ან ზარალში, სისტემატურ საფუძველზე, იმ პერიოდებში, რომელშიც საწარმო ხარჯად აღიარებს დანახარჯებს, რომელთა დაფინანსებაც გრანტით ხდება.
13. არსებობს სახელმწიფო გრანტების აღრიცხვის ორი მიდგომა: წილობრივი მეთოდი და შემოსავალ-მეთოდი. წილობრივი მეთოდის გამოყენებისას გრანტი აისახება მოგების ან ზარალის გარეთ. შემოსავალ-მეთოდის დროს გრანტი აისახება მოგებაში ან ზარალში, ერთი ან მეტი საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში.
14. წილობრივი მეთოდის უპირატესობის ძირითადი არგუმენტებია:
 - ა) სახელმწიფო გრანტი დაფინანსების საშუალებაა და ამიტომ უნდა აისახოს სახელმწიფო გრანტის სახით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში და არა მოგებაში ან ზარალში, გრანტით დაფინანსებული დანახარჯების მუხლების გადაფარვის სახით. ვინაიდან მოსალოდნელი არაა გრანტის თანხის დაბრუნება, იგი უნდა აღიარდეს მოგების ან ზარალის გარეთ;
 - ბ) მართებული არ არის სახელმწიფო გრანტების აღიარება მოგებაში ან ზარალში, რადგან იგი საწარმოს მიერ არ არის გამოიმუშავებული, არამედ სახელმწიფოს მიერ განხორციელებული წახალისებაა, მასთან დაკავშირებული დანახარჯების გარეშე.
15. შემოსავალ-მეთოდის მხარდამჭერი ძირითადი არგუმენტებია:
 - ა) რადგან სახელმწიფო გრანტების მიღების წყაროს არ წარმოადგენს აქციონერები, არ შეიძლება მათი პირდაპირ ასახვა აქციონერთა კაპიტალში, არამედ მათი აღიარება უნდა მოხდეს შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდების მოგებაში ან ზარალში;
 - ბ) სახელმწიფო გრანტების გაცემა მთლიანად უსასყიდლოდ, საჩუქრის სახით იშვიათად ხდება. საწარმო მაშინ დაიმსახურებს გრანტის მიღებას, თუ დააკმაყოფილებს გარკვეულ პირობებს და მისდამი წაყენებულ ვალდებულებებს. ამიტომ გრანტები აისახება მოგებაში ან ზარალში იმ პერიოდებში, რომელშიც საწარმო ხარჯად აღიარებს დანახარჯებს, რომელთა დაფინანსებაც ხდება გრანტის მეშვეობით;
 - გ) სახელმწიფო გრანტები, ფაქტობრივად, სახელმწიფოს ფისკალური პოლიტიკის გაგრძელებას წარმოადგენს. ამიტომ ლოგიკურია, რომ მოგების გადასახადი და სხვა ანალოგიური გადასახადები, რომელთა დარიცხვა შემოსავლების მიხედვით ხდება, აისახებოდეს მოგებაში ან ზარალში სახელმწიფო გრანტებთან ერთად.
16. შემოსავალ-მეთოდის გამოყენების ძირითადი დამახასიათებელი თავისებურება ისაა, რომ სახელმწიფო გრანტები აღიარდება მოგებაში ან ზარალში სისტემატურ საფუძველზე, იმ საანგარიშგებო პერიოდებში, რომელშიც საწარმო ხარჯად აღიარებს დანახარჯებს, რომელთა დაფინანსებაც გრანტის მეშვეობით ხდება. სახელმწიფო გრანტების შემოსავლების აღიარება მათი მიღებისთანავე (საკასო მეთოდით) ეწინააღმდეგება ბასს 1-ის - „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“ - შემოსავლების ასახვის დარიცხვის მეთოდს. საკასო მეთოდის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც არ არსებობს სხვა საანგარიშგებო პერიოდებზე გრანტის გადანაწილების სხვა საფუძველი, გარდა იმისა, რა სახითაც მიღებული იყო გრანტი.
17. ხშირ შემთხვევაში, ძნელი არ არის იმ პერიოდების დადგენა, როდესაც უნდა მოხდეს სახელმწიფო გრანტთან დაკავშირებული დანახარჯების ან ხარჯების აღიარება, რადგან გრანტი ყოველთვის გულისხმობს გარკვეულ სპეციფიკურ დანახარჯებს. გრანტის აღიარება მოგებაში ან ზარალში ხდება იმავე პერიოდში, როდესაც აღიარდება შესაბამისი ხარჯები. ანალოგიურად, ამორტიზებად აქტივებთან დაკავშირებული გრანტები, როგორც წესი, მოგებაში ან ზარალში აღიარდება პროპორციულად ყველა საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც დარიცხულია ცვეთის ანარიცხები მოცემულ აქტივებზე.
18. არამორტიზებად აქტივებთან დაკავშირებული გრანტები შეიძლება აგრეთვე გულისხმობდეს გარკვეული ვალდებულებების შესრულებას. ასეთი გრანტები აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდებში, როდესაც გაწეული იქნება ამ ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებული დანახარჯები. მაგალითად, მიწის გრანტი შეიძლება შეიცავდეს მიწის ნაკვეთზე გარკვეული შენობა-ნაგებობების მშენებლობის პირობას. ამიტომ გრანტის აღიარება შემოსავლების სახით მიზანშეწონილია მოხდეს მოცემული შენობა-ნაგებობების მომსახურების მთელი ვადის განმავლობაში.

19. ზოგჯერ, გრანტის მიღება ხდება ფინანსური ან ფისკალური დახმარებების კომპლექსური შეთანხმებების სახით. ასეთ შემთხვევაში, ყურადღება უნდა მიექცეს იმ პირობებს, რომლებსაც უკავშირდება დანახარჯების გაღება საწარმოს მხრიდან, რადგან სწორედ ამის საფუძველზე უნდა განისაზღვროს ის საანგარიშგებო პერიოდები, როდესაც ფაქტობრივად მოხდება გრანტის განხორციელება. შეიძლება მიზანშეწონილი იყოს სხვადასხვა მეთოდის გამოყენება გრანტის სხვადასხვა ნაწილის გასანაწილებლად.
20. **სახელმწიფო გრანტი, რომელიც მიღებული იქნება გაწეული ხარჯებისა და ზარალის კომპენსაციის სახით, ან საწარმოს გადაუდებელი ფინანსური დახმარების მიზნით, რომელსაც არ ექნება შესაბამისი სამომავლო დანახარჯები, უნდა აღიარდეს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც იგი დაექვემდებარება მიღებას.**
21. სახელმწიფო გრანტი შეიძლება განკუთვნილი იყოს საწარმოსათვის უშუალო გადაუდებელი ფინანსური დახმარების აღმოსაჩენად, უკვე გაწეული სპეციფიკური დანახარჯების სტიმულირების მიზნით. ასეთი გრანტი შეიძლება ეხებოდეს მხოლოდ რომელიმე კონკრეტულ საწარმოს და არა საწარმოთა ჯგუფს. ასეთ შემთხვევაში, გამართლებულია გრანტის აღიარება შემოსავლის სახით იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც საწარმო განსაზღვრავს მის მიღებას, სათანადო განმარტებითი შენიშვნის დართვით, რათა მკაფიოდ გამოჩნდეს გრანტის შედეგი.
22. სახელმწიფო გრანტი საწარმომ შესაძლოა მიიღოს წინა საანგარიშგებო პერიოდში გაწეული ხარჯების ან ზარალის კომპენსაციის სახით. ამგვარი გრანტი აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც იგი დაექვემდებარება მიღებას, სათანადო განმარტებითი შენიშვნის დართვით, რათა მკაფიოდ გამოჩნდეს გრანტის შედეგი.

არაფულადი სახელმწიფო გრანტები

23. სახელმწიფო გრანტის გაცემა შეიძლება ხდებოდეს არაფულადი აქტივის, მაგალითად, მიწა ან სხვა სახის რესურსების სახით, რომელიც საწარმომ უნდა გამოიყენოს. ამ შემთხვევაში, როგორც წესი, მიღებულია არაფულადი აქტივის შეფასება რეალური ღირებულებით, შესაბამისად, გრანტიცა და აქტივიც უნდა აისახოს რეალური ღირებულებით. არსებობს ალტერნატიული მეთოდიც, რომლის მიხედვითაც გრანტისა და მოცემული არაფულადი აქტივის ასახვა ხდება ნომინალური ღირებულებით.

აქტივებთან დაკავშირებული სახელმწიფო გრანტების ასახვა ფინანსურ ანგარიშგებაში

24. **აქტივებთან დაკავშირებული სახელმწიფო გრანტები, მათ შორის არაფულადი გრანტები რეალური ღირებულებით, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილ უნდა იქნეს გრანტის გადავადებული შემოსავლის სახით აღიარებით, ან გრანტის გამოქვითვით აქტივის საბალანსო ღირებულების მისაღებად.**
25. არსებობს ფინანსურ ანგარიშგებაში აქტივებთან დაკავშირებული გრანტის (ან გრანტის შესაბამისი წილის) ასახვის ორი მისაღები ალტერნატიული მეთოდი.
26. პირველი მეთოდი გულისხმობს გრანტის ასახვას გადავადებული შემოსავლის სახით, რომელიც აღიარდება მოგებაში ან ზარალში სისტემატურ და რაციონალურ საფუძველზე, აქტივის სასარგებლო მომსახურების მთელი ვადის განმავლობაში.
27. მეორე მეთოდის თანახმად მოცემული აქტივის საბალანსო ღირებულების მისაღებად გრანტი გამოიქვითება. გრანტი აღიარდება მოგებაში ან ზარალში ცვეთადი აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, ცვეთის ხარჯის შემცირების გზით.
28. აქტივების შეძენამ და შესაბამისი გრანტების მიღებამ შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საწარმოს ფულადი სახსრების მოძრაობაში. ამის გამო და კიდევ იმისათვის, რომ გამოჩნდეს აქტივებში დაბანდებული ინვესტიციების საერთო თანხა, ასეთ ცვლილებებს ხშირად ცალკე მუხლების სახით ასახავენ ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, იმისდა მიუხედავად, ხდება თუ არა გრანტის თანხის გამოქვითვა შესაბამისი აქტივის საბალანსო ღირებულებიდან, მისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახვის მიზნით.

შემოსავლებთან დაკავშირებული სახელმწიფო გრანტების ასახვა ფინანსურ ანგარიშგებაში

- 29. შემოსავლებთან დაკავშირებული გრანტები აისახება, როგორც მოგების ან ზარალის ნაწილი, ან ცალკე მუხლის სახით, ან საერთო სახელწოდებით „სხვა შემოსავლები“; ალტერნატიულად, ისინი ანგარიშგებაში გამოიქვეთება შესაბამისი ხარჯებიდან.
- 29ა. [გაუქმებულია]
- 30. პირველი მეთოდის მომხრენი ამტკიცებენ, რომ მიუღებელია გრანტის ასახვა წმინდა შემოსავლებისა და ხარჯების მუხლების სახით და გრანტის გამოვალკეება ხარჯებისაგან მას შესადარის ხდის ისეთ ხარჯებთან, რომლებიც დაკავშირებული არაა გრანტთან. მეორე მეთოდის არგუმენტია, რომ საწარმომ შეიძლება ხარჯები არ გაიღოს, თუ გრანტი მიღებული არ იქნება და ხარჯების ასახვა, მისი დაფარვისათვის განკუთვნილი გრანტის გარეშე, მომხმარებლისათვის დამაბნეველი იქნებოდა.
- 31. დასაშვებია ორივე მეთოდის გამოყენება გრანტთან დაკავშირებული შემოსავლის ასახვის დროს. გრანტის ასახვა განმარტებით შენიშვნებში შეიძლება აუცილებელი იყოს ფინანსური ანგარიშგების სწორად გაგებისათვის. როგორც წესი, მიღებულია, რომ განმარტებით შენიშვნებში აისახოს გრანტების ზემოქმედების შედეგები შემოსავლების ან ხარჯების ნებისმიერ მუხლზე, რომლის ცალკე ასახვაც სტანდარტით მოითხოვება.

სახელმწიფო გრანტების დაბრუნება

- 32. სახელმწიფო გრანტები, რომლის დაბრუნებაზე წარმოიშობა მოთხოვნა, განხილულ უნდა იქნას როგორც სააღრიცხვო შეფასებების გადასინჯვა (იხილეთ ბასს 8 - „სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები“). შემოსავლებთან დაკავშირებული გრანტის დაბრუნება, პირველ რიგში, უნდა დაუპირისპირდეს არაამორტიზებულ გადავადებულ ვალდებულებას, რომელიც წარმოიშვა გრანტთან მიმართებაში. თუ გრანტის დასაბრუნებელი თანხა აღემატება ასეთი გადავადებული ვალდებულებების თანხას, ან, როდესაც არ არსებობს გადავადებული ვალდებულება, გრანტის დასაბრუნებელი თანხა დაუყოვნებლივ უნდა აღიარდეს მოგებაში ან ზარალში. აქტივთან დაკავშირებული გრანტის დასაბრუნებელი თანხა აისახება აქტივის საბალანსო ღირებულების გაზრდით, ან გადავადებული შემოსავლების ნაშთის შემცირებით, დასაბრუნებელი თანხის ოდენობის შესაბამისად. დაგროვილი დამატებითი ცვეთის თანხა, რომელიც აღიარებული იქნებოდა დაბრუნებამდე, გრანტის არარსებობის პირობებში, დაუყოვნებლივ უნდა აღიარდეს ხარჯის სახით.
- 33. აქტივთან დაკავშირებული გრანტის დაბრუნების პირობები შესაძლოა ისეთი იყოს, რომ დღის წესრიგში დააყენოს აქტივის ახალი საბალანსო ღირებულების შესაძლო გაუფასურების ხელახალი გადანაწილების საკითხი.

სახელმწიფო დახმარება

- 34. წინამდებარე სტანდარტის მე-3 პუნქტის მიხედვით, სახელმწიფო გრანტებს არ მიეკუთვნება ისეთი ტიპის სახელმწიფო დახმარება, რომელსაც არ გააჩნია მკაფიოდ გამოხატული, დასაბუთებული ღირებულება და რომელიც არ განსხვავდება ჩვეულებრივი კომერციული გარიგებისაგან.
- 35. ისეთი ტიპის სახელმწიფო დახმარებას, რომელსაც არ გააჩნია მკაფიოდ გამოხატული, დასაბუთებული ღირებულება, მიეკუთვნება უფასო ტექნიკური და მარკეტინგული რჩევები და გრანტიების მიცემა. სახელმწიფო შესყიდვა ისეთი ტიპის სახელმწიფო დახმარებაა, რომელიც არ განსხვავდება საწარმოს ჩვეულებრივი კომერციული გარიგებისაგან და გულისხმობს საწარმოს პროდუქციის გარკვეული ნაწილის შესყიდვის უზრუნველყოფას სახელმწიფოს მიერ. ამ შემთხვევაში, მართალია აშკარაა სარგებლის არსებობა და მისი მნიშვნელობა, მაგრამ კომერციული საქმიანობისაგან სახელმწიფო დახმარების გამოყოფა ძნელია და მას ყოველთვის წმინდა სუბიექტური ხასიათი ექნება.
- 36. ზემოთ განხილულ მაგალითებში ეკონომიკური სარგებლის მნიშვნელობა შესაძლოა ისეთი იყოს, რომ მოითხოვდეს სახელმწიფო დახმარების ხასიათის, სიდიდისა და ხანგრძლივობის ჩვენებას განმარტებით შენიშვნებში, რაც აუცილებელია ფინანსური ანგარიშგების სწორად გაგებისათვის.
- 37. [გაუქმებულია]

38. წინამდებარე სტანდარტის მიხედვით, სახელმწიფო დახმარება არ გულისხმობს სახელმწიფოს მიერ ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფას, საერთო სატრანსპორტო და საკომუნიკაციო ქსელის გაუმჯობესების გზით, აგრეთვე საირიგაციო სისტემის სრულყოფის ღონისძიებებს, რაც სასარგებლოა მთელი ადგილობრივი მოსახლეობისათვის.

განმარტებითი შენიშვნები

- 39. საწარმოს ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში უნდა აისახოს:
 - ა) საწარმოს მიერ სახელმწიფო გრანტებისათვის გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა, მათ შორის ფინანსურ ანგარიშგებაში გრანტების წარდგენის მეთოდები;
 - ბ) ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული სახელმწიფო გრანტების ხასიათი და სიდიდე, აგრეთვე სახელმწიფო დახმარების სხვა ფორმების აღწერა, საიდანაც საწარმომ პირდაპირი სარგებელი მიიღო; და
 - გ) შეუსრულებელი პირობები და სხვა გაუთვალისწინებელი მოვლენები, რომლებიც დაკავშირებულია ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ რომელიმე ტიპის სახელმწიფო დახმარებასთან.

გარდამავალი დებულებები

- 40. საწარმომ, რომელიც პირველად გამოიყენებს წინამდებარე სტანდარტს, უნდა დაიცვას შემდეგი მოთხოვნები:
 - ა) შეასრულოს სტანდარტის მოთხოვნები ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, სახელმწიფო დახმარების ასახვის წესების შესაბამისად; და
 - ბ) ორიდან ერთი:
 - (i) კორექტირება გაუკეთოს ფინანსურ ანგარიშგებას სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლასთან დაკავშირებით ბასს 8-ის მოთხოვნების შესაბამისად; ან
 - (ii) მოცემული სტანდარტის მოთხოვნები გამოიყენოს მხოლოდ იმ გრანტების ან გრანტების ნაწილისათვის, რომლებიც საწარმომ უნდა მიიღოს ან დააბრუნოს წინამდებარე სტანდარტის ძალაში შესვლის თარიღის შემდეგ.

სტანდარტის ძალაში შესვლის თარიღი

- 41. წინამდებარე სტანდარტი ძალაში შედის იმ ფინანსური ანგარიშგებისათვის, რომელიც მოიცავს 1984 წლის 1 იანვარს დაწყებულ ან მის შემდგომ საანგარიშგებო პერიოდებს.
- 42. ბასს 1-მა (შესწორებული 2007 წელს) განაპირობა ფასს სტანდარტებში გამოყენებული ტერმინოლოგიის შეცვლა. გარდა ამისა, განაპირობა 29ა პუნქტის შეცვლა. საწარმომ აღნიშნული ცვლილებები უნდა გამოიყენოს 2009 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. თუ საწარმო უფრო ადრეული პერიოდისთვის გამოიყენებს ბასს 1-ს (შესწორებული 2007 წელს), იმავე პერიოდისთვის უნდა გამოიყენოს ეს ცვლილებებიც.
- 43. 2008 წლის მასში გამოცემულმა დოკუმენტმა - „*ფასს სტანდარტების გაუმჯობესება*“ - გამოიწვია 37-ე პუნქტის გაუქმება და 10ა პუნქტის დამატება. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილებები პერსპექტიულად უნდა გამოიყენოს იმ სახელმწიფო სესხების მიმართ, რომლებიც მიღებულია 2009 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებულ საანგარიშგებო პერიოდებში. ნებადართულია ვადამდელი გამოყენება. თუ საწარმო ზემოაღნიშნულ ცვლილებებს უფრო ადრინდელი პერიოდისთვის გამოიყენებს, მან ეს ფაქტი უნდა გაამჟღავნოს ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში.
- 44. [გაუქმებულია]
- 45. 2011 წლის მასში გამოცემულმა ფასს 13-მა გამოიწვია მე-3 პუნქტში მოცემული რეალური ღირებულების განმარტების შეცვლა. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილება იმ საანგარიშგებო პერიოდში უნდა გამოიყენოს, როდესაც გამოიყენებს ფასს 13-ს.
- 46. 2011 წლის ივნისში გამოცემულმა დოკუმენტმა - „*სხვა სრული შემოსავლის მუხლების წარდგენა*“ (ბასს 1--ის შესწორებები) გამოიწვია 29-ე პუნქტის შეცვლა და 29ა პუნქტის დამატება. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილებები იმ საანგარიშგებო პერიოდში უნდა გამოიყენოს, როდესაც გამოიყენებს ბასს 1-ის 2011 წლის ივნისის შესწორებულ ვერსიას.
- 47. [გაუქმებულია]

48. 2014 წლის ივლისში გამოცემულმა ფასს 9-მ გამოიწვია 10ა პუნქტის შეცვლა და 44-ე და 47-ე პუნქტების გაუქმება. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილებები იმ საანგარიშგებო პერიოდში უნდა გამოიყენოს, როდესაც გამოიყენებს ფასს 9-ს.